მილოცვა იუბილარს

ცნობილ მეცნიერ ეკონომისტს, პროფესორ **გიორგი /გოგი/ ნანუაშვილს** დაბადებიდან 70 და სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობიდა 45 წელი შეუსრულდა.

გიორგი ნანუაშვილი დაიბადა 1948 წლის 7 მაისს საგარეჯოს რაიონის სოფ. კაკაბეთში.

1966 წელს დაამთავრა თბილისის 77-ე საშუალო სკოლა ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლებით და იმავე წელს ჩააბარა მისაღები გამოცდები და ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე ბუღალტრული აღრიცხვისა და სამეურნეო საქმიანობის ანალიზის სპეციალობით, რომელიც დაამთავრა 1971 წელს და, როგორც პერსპექტიულმა ახალგაზრდამ, კათედრაზევე განაგრძო მუშაობა ლაბორანტად, შემდეგ მასწავლებლად არამატერიალური სფეროს ბუღალტრული აღრიცხვისა და ანალიზის კათედრაზე, სადაც მუშაობდა 1983 წლის ჩათვლით. 1976 წელს წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები და ჩაირიცხა თსუ-ს ასპირანტურაში, რომელიც დაამთავრა 1981 წელს. 1979 წელს გაგზავნილ იქნა ქ. მოსკოვის საფინანსო ინსტიტუტში კვალიფიკაციის ასამაღლებელ 6 თვიან კურსებზე, სადაც პარალელურად მუშაობდა დისერტაციაზე, რომელიც დაიცვა 1991 წელს თსუ-ს სამეცნიერო საბჭოზე, რომლის თავჯდომარე იყო აკადემიკოსი ვასილ ჩანტლაძე.

1983 წლიდან მთელი 34 წლის განმავლობაში მუშაობდა გორის ჯერ სააღრიცხვო-ეკონომიკურ ინსტიტუტში, ხოლო მისი უნივერსიტეტად გარდაქმნის შემდეგ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც განვლო გზა მასწავლებლიდან სრულ პროფესორამდე. 2000 წლიდან 2007 წლის ჩათვლით იყო ამ უნივერსიტეტში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის გამგე.

ბ-ნი გიორგი იყო ერთ-ერთი პირველთაგანი,

რომელმაც 1999 წელს მიიღო საერთაშორისო სერთიფიკატი მმართველობით აღრიცხვაში.

გიორგი ნანუაშვილის სამეცნიერო კვლევების სფეროს მიეკუთვნება, როგორც ზოგადი ეკონომიკის საკითხები, ისე ბუღალტრული აღრიცხვის თეორიის ფინანსური და მმართველობიტი აღრიცხვის, რევიზიისა და კონტროლის, აუდიტის და სამეურნეო ანალიზის აქტუალური საკითხები, რომლებიც მას განხილული აქვს მის მიერ გამოქვეყნებულ 130 სამეცნიერო ნაშრომში.

ბ-ნი გიორგის კალამს ეკუთვნის 10 სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმზღვანელო, 4 მონოგრაფია. ამჟამად დამთავრებული და მზად აქვს გამოსაცემად ორი მონოგრაფია; 1. მმართველობითი აღრიცხვა: პრაქტიკაში დანერგვის გზები და პრობლემები; 2. ვალდებულება, როგორც ეკონომიკური კატეგორია და მის აღრიცხვასთან დაკავშირებული პრობლემები.

ბ-ნი გიორგი არის ორი რეფერირებადი და რეცენზირებადი ჟურნალის, „სოციალური ეკონო მიკა" და „ბუღალტრული აღრიცხვა," სარედაქციო კოლეგიის წევრი.

იუბილარს ათეულობით ასპირანტი და მაგისტრანტი ჰყავს აღზრდილი, რომლებიც ამჟამად სხვადასხვა უნივერსიტეტებში მოღვაწეობენ აკადემიურ პერსონალის შემადგენლობაში, ასოცირებულ პროფესორებად, პროფესორებად.

ბატონი გიორგი ხშირადაა მოწვეული სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დისერტაციის დაცვისას ოფიციალურ შემფასებლად, რეცენზენტად, ოპონენტად. მისი თეორიული მოსაზრებანი და პრაქტული მნიშვნელობის მქონე წინადადებები ხშირად გამოიყენება რეალურ საქმიანობაში. თუნდაც ის რად ღირს, რომ 1975 წელს მის მიერ წამოყენებული და დასაბუთებული წინადადება ბიუჯეტურ დაწესებულებაში ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვის შესახებ, დღესაც უცვლელად გამოიყენება.

და ბოლოს, ვულოცავთ ბატონ გიორგი ნანუაშვილს იუბილეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას და დიდხანს სიცოცხლეს მის მეუღლესთან, ხუთ შვილთან და ექვს შვილისვილთან ერთად.

პროფესორები:

ევგენი ბარათაშვილი,
ანზორ აბრალავა,
ალექსანდრე სიჯინავა,
გიორგი სახოკია,
გიორგი ცაავა,
ვახტანგ დათაშვილი,
აკაკი გვარუციძე,
ლოიდ ქარჩავა,
შოთა ვეშაპიძე